

შპს „ბაკურციხე“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება -----	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	5
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები -----	6-9

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართული ლარი)

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება

		31.12.2019	31.12.2018
<u>აქტივები</u>			
მოკლევადიანი აქტივები:			
ფული და ფულის ექვივალენტი	3	3369054	135172
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	180539	60208
გადახდილი ავანსები	4	313069	110100
სასაქონლო მატერიალური მარაგები	5	2397148	1211272
სულ მიმდინარე აქტივები		6259811	1516751
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	6	378365	95973
სულ გრძელვადიანი აქტივები		378365	95973
სულ აქტივები		6638176	1612724
<u>ვალდებულებები</u>			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		(113841)	(58321)
მიღებული ავანსები		(4485848)	(1255876)
სხვა ანარიცხები		0	0
სულ მიმდინარე ვალდებულებები		(4599689)	(1314197)
<u>კაპიტალი</u>			
დამფუძნებლის კაპიტალი		(27115)	(27115)
გაუნაწილებელი მოგება		(2011372)	(271412)
სულ კაპიტალი		(2038487)	(298527)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		(6638176)	(1612724)

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(ქართული ლარი)

სრული შემოსავლების ანგარიშგება

	შენიშვნები	2019	2018
<u>შემოსავლები</u>			
შემოსავალი რეალიზაციიდან		5615977	578906
სხვა შემოსავალი		0	40745
საერთო მოგება		5615977	619651
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი		(651823)	(246774)
ცვეთა და ამორტიზაცია		(23076)	(7797)
იჯარა		(16770)	(14862)
დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება		(820678)	(161556)
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(3391130)	(457138)
საოპერაციო მოგება		712501	(268475)
საპროცენტო შემოსავალი		37381	3876
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		1299482	642
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(12190)	0
მოგება (დაბეგვრამდე)/ზარალი		2037173	(263957)
წლის წმინდა მოგება/ზარალი		2037173	(263957)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(ქართული ლარი)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწყისდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ კაპიტალი
<u>ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</u>	27115	271412	298527
წმინდა მოგება/ზარალი 2019 წლისთვის		2037174	
გაცემული დივიდენდი		252632	
მოგების გადასახადი		44582	
<u>ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</u>	27115	2011372	2038487

1. შესავალი

შპს „ბაკურციხე“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2014 წლის 22 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ვაზისა და ხეხილის ნერგის წარმოება. კომპანიის იურიდიული/ფაქტიური მისამართია - გურჯაანის რაიონი, სოფ. ბაკურციხე. შპს ბაკურციხეს 100% წილის ფლობელი და დირექტორი არის შალვა ბერიძეშვილი,

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ამ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შემენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრულ შემოსავლის ანგარიშგებაში.

ბ) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

გ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

ბიოლოგიური აქტივების წარმოების აღსარიცხავად კომპანია იყენებს რეალური ღირებულების მოდელს.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება FIFO მეთოდით, საწყობების მიხედვით.

შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს,

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

3. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2019 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში	31/12/2019	31/12/2018
ფული სალაროში	6664	16675
ფული საბანკო ანგარიშებზე	3362390	118497
	3369054	135172

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში	31/12/2019	31/12/2018
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	155908	46187
სხვა მოთხოვნები	337700	124121
	493608	170307

5. მარაგები

მარაგები 2019 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში	31/12/2019	31/12/2018
მზა პროდუქცია	664338	393900
სხვა	1732810	817372
	2397148	1211272

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2019 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	31.12.2019
მიწის ნაკვეთები	109747
დაუმთავრებელი მშენებლობები	32691
შენობები-ნაგებობები	110027
მანქანა-დანადგარები	56006

ოფისის აღჭურვილობა	2040
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3028
ტრანსპორტი	49952
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	14876
	<u>378365</u>

7. კაპიტალის ცვლილებები

2019 წლის საანგარიშო პერიოდის მოგებამ შეადგინა 2037173 - ლარი, საანგარიშო პერიოდში გაცემულ იქნა დივიდენდი წინა წლის მოგებიდან 252631 ლარი.

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2020 წლის 29 სექტემბერს.

დირექტორი:

